


ორგანიზაციული ცვლილებების როლი კომპანიის წარმატებული
ფუნქციონირებისათვის



ირაკლი კარკაძე
ირაკლი დგებუაძე
თამარ დარახველიძე
(ჯგუფი #16)

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნეს სკოლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ნიკოლოზ მახარაშვილი, პროფ. დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“¹

ირაკლი კარკაძე

ირაკლი დგებუაძე

თამარ დარახველიძე

¹ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი: აკადემიური სტილი, გვ.56.
<http://iliauni.edu.ge/uploads/other/2/2526.pdf>

ა ბ ს ტ რ ა ქ ტ ი

ნაშრომში განხილულია ცვლილებებისა და ინოვაციების საჭიროება ორგანიზაციისა თუ კომპანიის წარმატებული ფუნქციონირებისათვის. ორგანიზაციული ცვლილებების არსისა და სახეების თეორიული ნაწილის განხილვის შემდეგ გამოკვეთილია მენეჯერის, როგორც ლიდერის ფუნქცია აღნიშნული პროცესების მიმდინარეობისას.

ამავდროულად, შესწავლილია მსოფლიოს წამყვანი პროგრესული კომპანიების გამოცდილება და ასევე საქართველოში მოქმედი „აგორა ჯგუფის“ მაგალითზე აღწერილია უშუალოდ ცვლილებების განხორციელების მიმდინარეობა კომპანიაში. ყურადღება გამახვილებულია კომპანიის ფუნქციონირების ძირითად ძლიერ და სუსტ მხარეებზე, რომლებმაც ორგანიზაციული ცვლილებების პროვოცირება გამოიწვიეს სასიცოცხლო ციკლის სხვადასხვა ეტაპზე. შესაბამისად, თანდართულია ინტერვიუ „აგორას“ აღმასრულებელ დირექტორთან, რომელიც უშუალოდ აღწერს კომპანიაში მიმდინარე თუ უკვე მომხდარ პროცესებს ჩვენი საკვლევი საკითხის მიმართულებით და ერთგვარ შეფასებას აკეთებს დამდგარი შედეგების შესახებ.

ამასთანავე, სამაგისტრო თემა შეიცავს კვლევას, რომელიც მიღებულია საქართველოში მოქმედ სხვადასხვა კომპანიებში დასაქმებული ადამიანების გამოკითხვის გზით. გრაფიკულად გამოსახულია სამაგისტრო კვლევის ფარგლებში მიღებული შედეგები და შესწავლა-ანალიზის საფუძველზე მოცემულია რეკომენდაციები.

დაბოლოს, მსოფლიოში დღეს მიმდინარე ტენდენციის კვალდაკვალ დასკვნის სახით შეფასებულია ქართული კომპანიების შესაძლებლობა იყვნენ ცვლილებებზე უფრო მეტად ორიენტირებულნი და ინოვაციურები, რაც საბოლოოდ განსაზღვრავს მათ პერსპექტივას საჭირო მოქმედებების განხორციელების კუთხით კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად.

A b s t r a c t

This piece of work deals with the role of innovations for the successful functioning of the organization or company. After considering the organizational changes and the theoretical part of the types is defined as the function of the manager as the leader of these processes. The experience of the world's leading progressive companies has been studied and the example of the "Agora Group" in Georgia is described as well as the process of implementing changes.

The focus is on the major strengths and weaknesses of the company's functioning, which have provoked organizational changes at various stages of life cycle. Consequently, the interview is accompanied by the executive director of "Agora", who directly describes the current developments in the company in the direction of our study and assesses the outcomes of the results.

In addition, the master's topic contains research that is conducted by surveying people employed in different companies operating in Georgia. The results are graphically illustrated and the recommendations are based on the study-analysis. In the course of the ongoing trend in the world today, Georgian companies are more likely to be more oriented and innovative about changes, which ultimately determines their perspective in achieving competitive advantage in terms of the necessary actions.